წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი № 16

ქ. წყალტუბო 19 დეკემბერი, 2025 წელი

2025 წლის 19 დეკემბერს, 13:00 საათზე, ჩატარდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა.

სხდომას თავმჯდომარეობდა: თეიმურაზ ჭეიშვილი - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე - კობა გურეშიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები: ნესტორ აფხაძე, სერგო კირკიტაძე;

საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეები: ნიკა მჟავია, არჩილ ღიბრაძე, რევაზ დიდავა, ვაჟა ჟორჟოლიანის მოვალეობის შემსრულებელი შალვა კილაძე.

ფრაქციის თავმჯდომარე: ლატავრა ბენდელიანი.

წევრები: გიორგი ფაჩუაშვილი, ვლადიმერ ხურცია, ნაილი ჭოლაძე, ჯეირან ომანაძე, მამუკა ჩხეტიანი, თამთა ვარდოსანიძე, ირინე ცაავა, ხათუნა მაღლაკელიძე, ნინო ჭეიშვილი, დიმიტრი ომანაძე, ალექსანდრე ნიქაბაძე, ნუგზარ ქუთათელაძე, გია ხურცია, რევაზ მარგველაშვილი, მალხაზ მანაგაძე, გელა ბაჯაძე, ოთარ სულაშვილი, თედო ჭოლაძე.

სხდომას არ ესწრებოდნენ: ვაჟა ჟორჟოლიანი, ლევან ჩანქსელიანი, ომარ სინაურიძე, რომეო ნიჟარაძე, ნოდარ ასათიანი, ვლადიმერ ხურცია, გრიგოლ მაღლაფერიძე.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი გენადი ბალანჩივაძე, მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ყურაშვილი, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი-ფატი გაგოშიძე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ზედამხედველობის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი იასონ გაბუნია,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი ვახტანგ ნადარეიშვილი, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანების'' მმართველი - ირაკლი კუჭავა, საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - აპარატის უფროსი გელა თათარაშვილი, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო, საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ქეთევან კირტავა, საკრებულოს აპარატის იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-განყოფილების უფროსი-მაია ბერაძე, საკრებულოს აპარატის საინფორმაციო-ანალიტიკური და საზოგადოებასთან ურთიერთობის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-განყოფილების უფროსი ირინა ჩაკვეტაძე, მერიისა და საკრებულოს საჯარო მოხელეები.

დღის წესრიგის გაცნობამდე საკრებულოს თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებსა და სხდომის მონაწილეებს მიულოცა ნიკოლოზობა.

თეიმურაზ ჭეიშვილმა სხდომის მონაწილეებს, საკრებულოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 დეკემბრის №38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს: არჩილ ღიბრაძე,თანამომხს:ფატი გაგოშიძე/

2,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ''
/მომხს: არჩილ ღიბრაძე,თანამომხს:ფატი გაგოშიძე/

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი.
მომხრე -27
წინააღმდეგი -0
დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.
1.მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე არჩილ ღიბრაძის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 დეკემბრის № 38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.
მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი იზრდება 1 406 523 ლარით. ბიუჯეტი იყო 59 931 394 ლარი იქნება 60 501 494 ლარი.
აღნიშნული ზრდა განაპირობა კერძოდ:

1. სხვა შემოსავლებიდან მიღებულმა თანხამ 458 523 ლარით.
2. არაფინანსური აქტივების კლებიდან 15 000ლარი.
3. ფიზიკურ პირთა ქონებიდან 110 000 ლარი.
4. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწიდან 125 000 ლარი.
5. არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწიდან 575 000 ლარი.
6. საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტიდან 123 000ლარი.
7. ბიუჯეტის ხარჯებში გაიწერება 581 523 ლარი.

საკრებულოს წევრებსა და სხდომის მონაწილეებს გაცნო მუხლობრივი ცვლილებები.
სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.
ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს : საკრებულოს წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.
სხდომის თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი პროექტი.

მომხრე-27
წინააღმდეგი-0
დ ა ა დ გ ი ნ ე ს: დადგენილების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 დეკემბრის №38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე'' მიღებული იქნეს წარმოდგენილი ფორმით და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი/თან ერთვის ოქმს/.

2.მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე არჩილ ღიბრაძის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ".

მომხსენებლმა აღნიშნა, რომ 2026 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 38 715 000ლარით.

2025 წლის დატკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში გაზრდილია 3 339 300ლარით.

2025 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით 2026 წლის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი იზრდება 2 186.000 ლარით.

2025 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით 2026 წლის დამატებითი ღირებულების გადასახადიდან შემოსავლების პროგნოზი იზრდება 1 838. 700 ლარით.

წარმოდგენილი გვაქვს განმარტებითი ბარათი წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტზე მუნიციპალიტეტის საკრებულოდან შემოსული
რეკომენდაციების გათვალისწინების შესაძლებლობის შესახებ.

წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომლის ნაწილიც დაკმაყოფილდა, ნაწილი კი გათვალისწინებული იქნება 2026 წლის ბიუჯეტში, რომელიც განხორციელდება წლის განმავლობაში.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს : წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერმა გენადი ბალანჩივაძემ საკრებულოს წევრებსა და სხდომის მონაწილეებს მიულოცა ნიკოლოზობა და დამდეგი შობა-ახალი წელი. აღნიშნა, რომ მთლიანობაში მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტს არ განუცდია მნიშვნელოვანი ცვლილებები, არ შეცვლილა ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებები. 2026 წელს მისაღები დამატებითი რესურსით მინიმალურად გაიზარდა მიმდინარე ხარჯები, ზრდის უდიდესი ნაწილი მიმართულია ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებზე.

2026 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 38 715 000 ათასი ლარით.2025 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში გაზრდილია 3 339.3 ათასი ლარით.

წყალტუბო-დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი ლიდერი ქალაქია, სადაც არსებული რესურსების ეფექტიანი და მდგრადი გამოყენებით უნდა მივაღწიოთ სწრაფ ეკონომიკურ ზრდას, მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას და სიღარიბის შემცირებას. ეფექტურად გაგრძელდება ყველა ისეთი საჭირო კომუნიკაციის მშენებლობა- რეაბილიტაცია , როგორიცაა გზები, გარე განათება, წყალმომარაგება და სხვა.

მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანია, რომ 2026-2029 წლებში მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების მიერ გადადგმულმა ნაბიჯებმა უნდა შექმნას საშუალო ვადიან პერიოდში მუნიციპალიტეტის სოციალური და ეკონომიკური განვითარების მყარი საფუძვლები.

ასევე მნიშვნელოვანია ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების ძირითადი პრინციპის მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა. რისთვისაც ერთ-ერთი საჭირო და მნიშვნელოვანი მექანიზმია მოსახლეობის ინფორმირება ხელისუფლების მიერ მუნიციპალიტეტში გაწეული და დაგეგმილი საქმიანობის შესახებ.

წყალტუბოს თვითმმართველობისათვის, მუნიციპალიტეტის თითოეული მაცხოვრებელი და მასზე ზრუნვა იყო , არის და იქნება მთავარი ღირებულება - აღნიშნა მერმა.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფისათვის ბიუჯეტში 4 231,0 ლარია გათვალისწინებული.მიმდინარეობს მუშაობა, რომ მედიკამენტების შესაძენი თანხა მოქალაქეს ნაცვლად პირად ანგარიშზე დარიცხვისა, ჩაერიცხოს შესაბამის დაწესებულებაში.

ასევე, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესების კუთხით, შემუშავებულია ახალი გეგმა, რომლის განხორციელება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესებას.

გრძელდება პროგრამა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის ინდივიდუალური სახლების მშენებლობა/შეძენის მიმართულებით. ამისათვის ბიუჯეტში გათვალისწინებულია -325.0 ათასი ლარი. 2026 წელს იგეგმება 5 ახალი სახლის მშენებლობა.

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება.

2025 წელთან შედარებით საბავშვო ბაღების გაერთიანების სუბსიდირების თანხა გაზრდილია 643,4 ათასი ლარით, რომელიც მიმართული იქნება სკოლამდელ დაწესებულებებში საბავშვო ბაღების საჭიროებისამებრ.

მომავალი წლიდან დაიწყება სკოლების და ბაღების ეტაპობრივი რეაბილიტაცია

გაგრძელდება კულტურის, სპორტისა და ხელოვნების სფეროში სხვადასხვა პროექტების შემუშავება და მისი განხორციელება.

წყალტუბოში, ფარცხანაყანევში, ოფშკვითში , მაღლაკში სპორტული მოედნების მშენებლობა-რეაბილიტაცია. ახალი სპორტული მოედნების მშენებლობა იგეგმება როგორც სოფლად ასევე ქალაქის ტერიტორიაზე.

ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრისათვის ბიუჯეტში გათვალისწინებულია 241.0ათასი ლარი.

2025 წლის მაჩვენებელთან შედარებით სუბსიდია გაიზარდა 37,1 ათასი ლარით. ხორციელდება მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების პოლიტიკის ჩამოყალიბება, ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, შიდა ტურიზმის სრული კოორდინაცია, კურორტის პოპულარიზაცია.

ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ მუნიციპალიტეტის ეკონომიკა იზრდებოდეს და უზრუნველვყოფილი იქნას თითოეული ადამიანისა და ოჯახის კეთილდღეობა.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო და მერია გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!

გისურვებთ , 2026 წელი ყოფილიყოს წინსვლისა და წარმატების მომტანი!

სხდომის თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი პროექტი.

მომხრე-27

წინააღმდეგი-0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: დადგენილების პროექტი „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" მიღებული იქნეს წარმოდგენილი ფორმით და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი/ თან ერთვის ოქმს/.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: თეიმურაზ ჭეიშვილი

საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო,
საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების
მართვის განყოფილების მესამე რანგის მეორე
კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნონა ტაბიძე